№ 15 იანვარი 22, ხუთშაბათი 1887 იანვარი 22, ხუთშაბათი № 15

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურისა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ტფილისი, 21 იანვარი

რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, ვითომც პეტერბურგში გახშირებული ლაპარაკია საფინანსო სფერაში მასზედ, რომ ამ ახლო-ხანებში კანონად დაიდგინება გადასახადი შემოსავალზე. ამბობენ, რომ იმ აუარებელ არა-პირ-და-პირ გადასახადების მაგიერ, რომელიც ამ მოკლე ხანებში დაწესდა და რომელიც მრეწველობას და წარმოებას უფრო ჰხუთავს, ვიდრე ჰკრგებს რასმე სახელმწიფო ხაზინასა, დაწესდება გადასახადი შემოსავალზეო (подоходный налогъ). ამ ნაირივე გადასახადი დიდი ხანია შემოღებულია ევროპაში და ეხლა რუსეთშიაც შემოაქვთ, როგორცა სჩანს. თავდაპირველად ამ გადასახადის შემოღება უნდა მიეწეროს ყოფილს ფინანსთა მინისტრს ბ-ნს ბუნგეს, რომელმაც დააწესა ასზედ ხუთი მანათი გადასახადი იმ შემოსავალიდამ, რასაც თავნი ფული აძლევს ფულის პატრონსა. ეხლა განუზრახავთ ეგ გადასახადი დაედვას ყველა შემოსავალს, რასაც კი უძრავი და მოძრავი საკუთრება აძლევს კაცსა და ამას გარდა საკუთარი შრომაცა. რასაკვირველია, ამასთან განსაზღრული იქნება რის ნაკლებ არ უნდა იყოს შემოსავალი, რომ გადასახადი იხადოს. შემოსავლის გადასახადს უნდა ექვემდებარონ ყველა ქვეშევრდომნი რუსეთისანი და გარდა ამისა ის უცხო ქვეყნის კაცნიც, რომელთაც ან მუდმივი ცხოვრება აქვთ, ან ერთს წელიწადზედ მეტსა რჩებიან ხოლმე რუსეთის იმპერიაში, და ყველანი, ვისაც კი უძრავი რამ საკუთრება აქვთ, შემოსავლის მომცემი. განსაზღვრული გარდასახადი გამოერთმევა ორ-გვარად: მთლად და უკლებლივ იმას, ვისაც გარჯა და შრომა შეუძლიან და ამისათვის წლოვანებაა დადებული 18-დამ 55-მდე და იმათ კი, ვისაც თვითონ გარჯა და შრომა არ შეუძლიანთ და თავის საკუთარ საქმეს ვერ გაუძღვებიან, ის შეღავათი ეძლევათ, რომ გადასახადი დაკლებული გამოერთმევათ. ამ სახით განსაზღრული შემოსავლის გადასახადი დაკლებულის ზომით გამოერთმევათ: 1) მათ, ვინც სამხედრო ბეგარას იხდის მთელის იმ ხანის განმავალობაში, მინამ ჯარშია; 2) იმათ, ვინც ჯარში სამსახურის დროს დაჭრილან, ან დაშავებულან და ჩარიცხულნი არიან პირველ სამს ხარისხში დაჭრილებთა შორის; 3) იმათ, ვინც სწავლაში არიან სასწავლებლებში ვიდრე 26 წლისად არ შესრულდებიან. 4) უვადოდ და ვადით დათხოვნილ ჯარის-კაცებმა და ყაზახებმა, მინამ დათხოვნილნი არიან, მთლად ეც-და იხადონ გადასახადი და როცა მიწვეულ იქმნებიან ჯარში სამსახურისათვის, მაშინ კი ნაკლებად გამოერთმევათ. მთელის წლის გადასახადი ორად განიყოფება, ერთი ნახევარი 1-ს ივლისამდე უნდა იქმნას ხაზინაში შეტანილი და მეორე 1-ს დეკემბერსა. ამ ვადებს ვინც გადააცილებს, დიდი ჯარიმა უნდა გადიხადონ.

აი უმთავრესნი საფუძველნი, რომელზედაც განუზრახავთ ახალის კანონ-პროექტის აშენება და აგება. ეს პროექტი მომზადდება თუ არა, წარედგინება ჯერ უმაღლესს საფინანსო კამისიას და მერე შეტანილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში რჯულ-დებულების წესის გზითაო. ამავე დროს მზადდება თურმე პროექტი შესახებ ზოგიერთის წვრილმანის გადასახადის ამოკვეთისა იმ აზრით, რომ წარმატების გზა გაუხსნან და გაუფართოვონ მრეწველობას და წარმოებას რუსეთისას

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნის ელ. აღნიაშვილის ქართული ხორო სწავლობს ამ ჟამად რაჭულ სიმღერებსა. შემდეგ ხორო შეუდგება იმერულისა და მეგრულის სიმღერების სწავლასა.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისში განუზრახავთ ისეთის საზოგადოების შედგენა, რომელსაც აზრად ექმნება ხელი მოუმართოს სოფლის მწარმოებელთა და რიგიანი ბაზარი მოუპოვოს ყოველ-გვარ სოფლის ნაწარმოებსა. წესდების პროექტი მალე მზად იქმნება და მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

⁂ კვირას, 25 იანვარს, იქმნება ბენეფისი არტისტის-ქალის საფაროვი-აბაშიძისა. ჩვენი სათეატრო დასი წარმოადგენს აკაკის დრამას «თამარ-ცბიერი» და ოპერეტკას „მეჯლიში იტალიელებით“.

ამ წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრობა.

⁂ თითქმის ყოველ-ზამთრობით იმართება ხოლმე მოსკოვსა და პეტერბურგში ქართული წარმოდგენა შეუძლებელ სტუდენტების სასარგებლოდ. უფრო ისეთს პიესებს აარჩევენ ხოლმე ამ გვარის წარმოდგენებისათვის, რომელიც ასე თუ ისე საინტერესოა რუსთა საზოგადოებისათვისაც და ჩვენებურს ყოფა-ცხოვრებას ცხადადა ჰხატავს უცხო ხალხის თვალთათვის. ამ გვარ პიესების შემდეგ დივერტისმენტიც არის ხოლმე: ჰმართავენ ცხოველს სურათებს, ამბობენ სხვა-და-სხვა საერო სიმღერებს და სხვანი. ყოველ-შემთხვევაში საღამო გათავდება ხოლმე ლეკურით. გაზ. „Нов. Вр.“ ამბობს, რომ ამ ზამთარსაც იქმნება გამართული ქართული წარმოდგენაო. ლეკურის თამაშობა ისეთი სასიამოვნო სანახავია, რომ მარტო ლეკურისათვის ჰღირს ამ გვარ წარმოდგენაზედ წასვლაო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ამ დღეებში მოელიან პეტერბურგს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სმეკალოვს, რომელსაც მთავრობა ჰნიშნავს თერგის ოლქის უფროსადაო.

⁂ პური კვლავ გაძვირებულა ტფილისში. პირველის ხარისხის დაფქული პური ჰღირს ექვს უზალთუნადა და შვიდ აბაზადა, ხოლო ქერი თერთმეტ-შაურადა და სამ აბაზადა. (გაზ. «ნოვ. ობოზ.“)

⁂ გაზ. „კავკაზი“ ამბობს, რომ მის უწმინდესობას იერუსალიმის პატრიარხს უბოძებია მღვდლის დავით გურგენიძისათვის ოქროს ჯვარი გულზე სატარებლადაო. უწმინდაესმა სინოდმა და აგრეთვე საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ ნება დართეს მ. გურგენიძეს მიიღოს და ატაროს პატრიარხისაგან ბოძებული ჯვარიო.

⁂ გაზ. «კავ. ობოზ.»-ეს სწერენ ახალ-ციხიდამ, რომ აქ გახშირებულია ამ ჟამად ჩუტ-ყვავილაო. საზოგადოდ ეს ქალაქი ძალიან დაუდევნელი და უწმინდურობით სავსე ქალაქიაო. ქალაქის ჯანმრთელობაზე სრულიად არავინ ჰფიქრობს. 15 ათასი მცხოვრებელია ახალციხეში და ჯერ საავად-მყოფო არა აქვსო. აი ამიტომ არის აქ ხშირი მოარული ავად-მყოფობანიო.

⁂ ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ბ-ნმა საბინინმა, რომელიც დიდი ხანია სწავლობს საქართველოს ეკკლესიის ისტორიას, ამ ორის წლის წინად დაბეჭდა ქართულად ყოველივე მასალა, რომელიც ხელთა ჰქონდაო. ამ ჟამად ბ-ნს საბინინს დიდის შრომით შეგროვილი და ქართულად დაბეჭდილი მასალა გადაუთარგ-

ფელეტონი

ეტნოგრაფიული წერილები

(წერილი მერვე)

როცა ხალხის იურიდიული აზრი დაბლა სდგა, განუვითარებელია, მაშინ სამოქალაქო და სისხლის სამართლის შორის თითქმის განსხვავება არ არის, მაშინ მთელი სამართალი სისხლის სამართალია. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენას შეადგენს. ჩვენს ძველს სამართალსაც ამ გვარი ხასიათი ეტყობა. ეგრედ-წოდებული „ძეგლის დება“ მეფე გიორგისა ცხადი დამამტკიცებელი საბუთია ხსენებულის საზოგადო მოვლენისა. „ძეგლის დება“ თითქმის თვითეულს იურიდიულ მოვლენას სჯის როგორც სისხლის დანაშაულობას, თუნდა მოვლენა სამოქალაქო სამართლის საგანსაც შეეხებოდეს. მეორე საზოგადო ხასიათიც ძველის სამართლისა საყურადღებოა: „ძეგლის დებამ“ როდი იცის მრავალ გვარი დანაშაულობა,—აქ თითქმის ბაასია სულ მოკვლაზედ, გახაიბრებაზედ და ჭრილობაზედ; შესანიშნავი კიდევ ისაა, რომ ამაზედაც კი კანონი მოკლედ ლაპარაკობს („ძეგლის დება“ მუხ. ლბ—მ). ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როგორც საზოგადოდ ყველა ძველი სამართალი, ისე „ძეგლის დებაც“ დანაშაულობას გარეგანის მხრით უცქერის, «ძეგლის დების» შეხედულებით დანაშაულობა კერძო კაცისათვის ზარალია, ზარალთან საზოგადოებას ხელი არა აქვს და თვით ზარალი ჯარიმით უნდა გადაჰხდეს დამნაშავეს. ამ გვარი გარეგანი შეხედულობა არის მიზეზი, რომ სამართალი უარ-ჰყოფს დანაშაულობის შინაგანს ბუნებას, დამნაშავის ბოროტ-მომქმედს ნებას (преступная воля). მკითხველს ეცოდინება, რომ ეს ნაკლი სჭირს ყველა ძველს წესდებულებას, სჭირს «ძეგლის დებასაც». ეს უკანასკნელი თუ მძიმედ სჯის რომელსამე დანაშაულობას, მაგ., მოკვლას, იმიტომ კი არა, რომ დანაშაულობაში გამოიხატა დამნაშავის ძლიერი ბოროტ-მომქმედი ნება, არა,—იმიტომ სდევნის სასტიკად დანაშაულობას, რომ დამნაშავის მსხვერპლი თავისის გარეგანის მნიშვნელობით განსაკუთრებული პირია (მაგ., დედ-მამის, ძმის, ხევის-ბერის მოკვლა, მუხ. ჱ, იე, იზ). აწინდელი ხევსურული სამართალიც ძველი სამართალია; მას ძველებური ხასიათი და მიმართულება აქვს; კიდეც ამიტომ ამ სამართალზედაც ის უნდა ითქვას, რაც ზემოდა ვსთქვით. პირველად ესა, რომ ხევსურულმა სამართალმა თითქმის არ იცის განსხვავება სამოქალაქო და სისხლის სამართლის შორის,—ყველა დანაშაულობა კერძო ზარალია და ზარალს კიდევ ზედ ჯარიმა მოსდევს; მთლად საზოგადოებას დანაშაულობისა არა ეკითხვის-რა. მეორედ—თვით დანაშაულობის სხვა-და-სხვაობა მცირეა,—სამართალმა იცის მოკვლა, გახაიბრება, დაჭრილობა (დაკეჭნა) და ძრიელ ნაკლებად იცნობს სხვა-გვარ ბოროტ-მოქმედებას. მესამედ—სამართალს ყურადღება მიქცეული აქვს დანაშაულობის გარეგანს მხარეზედ და უარ-ჰყოფს ბოროტ-მომქმედს ნებას. თუ რა შორს მიდის ამ ნების უარ-ყოფა მტკიცდება იმით, რომ ხევსურულ-სამართლისათვის სულ ერთია—შემთხვევით შემოგაკვდა კაცი, თუ განზრახ მოჰკალი იგი; კაცი როგორც უნდა შემოგაკვდეს, ზარალი ერთი და იგივეა..

რასაკვირველია, მოკვლა ყველაზედ ძნელი და მძიმე დანაშაულობაა. შურის ძიება, სისხლი მას განუშორებლად თან დასდევს. რადგანაც სამართალი უარ-ჰყოფს დანაშაულობის შინაგანს ბუნებას, ბოროტ-მომქმედს ნებას, ამიტომ კაცის მოკვლა მაშინ უფრო სამძიმოა, როცა მოკლული მკვლელის სოფლელია, იმის თემისაა, ან მკვლელის ნათესავია. სხვა გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს; მაგ., ქალის მოკვლა, თუ ქალი ნათესავი არ არის, 60 ძროხად ღირს, თუნდაც ქალი „ორიანად“, ე. ი. ორსული იყოს. სულ ერთია ეგრეთვე ვაჟ კაცს მოჰკლავ, თუ უსუსურს ბალღსა; ორთავე შემთხვევაში 80 ძროხა *) გადაჰხდება ჯარიმად. მაგრამ ამ ჯარიმის გარდა დამნაშავეს სხვა გარდასახადიც ეკისრება: მკვლელმა მოკლულის დებს ცხრა ცხვარი უნდა მისცეს, ამდენივე იმის ქალებს და მამიდას; დედის ძმებს, ბიძებს ხუთი ძროხა ერგებათ. ვინიცობაა, მოკლულს ეს ნათესავები არა ჰყავს, მაშინ გარდასახადი იმის ოჯახსა რჩება. ამ გარდასახადის დაწესებულობით უნდა აიხსნას, რომ მოკლულის სისხლის აღება მარტო ნათესავებს შეუძლიანთ და თემი აქ არაფერს შუაშია, მთლად თემი შურის-მძიებელი არაა; სჩანს, რომ სათემო კავშირის გარდა, საოჯახო კავშირსაც, ნათესაობასაც ძალა აქვს კერძო კაცისათვის. ის გარემოება, რომ თემს სისხლი არ ეკითხვის, სხვაფრივაც საყურადღებოა: თემზედ რომ სისხლი გადადიოდეს, მაშინ ერთი თემი მეორის მოსისხლე მტერი იქნებოდა, მთელი ცხოვრება განუწყვეტელს ომს წარმოადგენდა და შერიგებაც ძნელად მოხერხდებოდა, მაგრამ ასე როდია. არც თითონ შურის ძიება მოქმედობს ისე მკაცრად და სასტიკად, როგორც სხვაგან, აი თუნდა ქისტეთში, რომელიც ხევსურეთს ზედ აკვრია. ქისტეთში თუ ერთის წლის განმავალობაში, ან ცოტა მეტს ხანში შერიგება არ მოხდა, სისხლს სისხლი მოსდევს; ხევსურეთში კი სხვაა,—აქ შეიძლება ოცმა წელიწადმაც გაიაროს და მკვლელს ხელი არავინ ახლოს, მორიგებას უცდიან და დამნაშავეს მხოლოდ რიდი ეჭირება. ეს მოსაწონი ჩვეულება აქარვებს, ამშვიდებს იმ ვნებათა ღელვას, რომელიც მოკვლას თან მოსდევს და სხვათა შორის იმასაც ამტკიცებს, რომ ხევსური ზნეობით მაღლა სდგა ქისტზედ. რაც უნდა იყოს, მაინც აქაც შურის ძიება ჩვეულებაა, სავალდებულო კანონია, რომელსაც ვერავინ ულალატებს. მაგ-

---

*) ვახტანგის სამართალი ძროხას ორ მანათად აფასებს, მუხ. მთ. როგორც ვიცით, გლეხის მოკვლა თორმეტი თუმანი ღირდა. ხევსურის ქალის მოკვლაში 60 ძროხაა დადებული და ვახტანგის ნიხრით რომ ვიანგარიშოთ, თითო ძროხა ორ მანათად, ქალის მოკვლა სწორედ თორმეტი თუმანი ეღირება. მაგრამ საქმე ისაა, რომ აწინდელი ხევსურული სამართალი ძროხას თუმნად ანგარიშობს. აი ამ სამართლის ნიხრი: ძროხა ერთი თუმანი; გუთანში შესაბმელი ხარი ორი ძროხაა; ოთხი დედა ცხვარი ძროხას უდრის; თხა თიკნით ერთი ცხვარია; ჭედილა, ხბო ცხვრად ჩაიგდება; მოზვერი ძროხის ფასისაა.

მნია რუსულად და ამ მოკლე ხანში აპირობს დაბეჭდვას ცალკე წიგნადაო.

⁂ ესევე გაზეთი ამბობს, რომ კავკასიის მთავრობა ხელ-ახლად სთხოვს პეტერბურგის უმაღლესს მთავრობას, ნება მოგვეცით სამოქალაქო თანამდებობის აღსასრულებლად კავკასიაში და აგრეთვე ამიერ-კასპიის ოლქაში დავნიშნოთ ხოლმე სამხედრო წოდების კაცნიო იმ პირობით, რომ ამ დანიშვნის შემდეგაც ისინი თავიანთ წოდებაშივე ირიცხებოდნენ და იმავე ჯარში ითვლებოდნენ, რომელშიაც წინადვე ყოფილან ჩათვლილნიო.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შესცვალოს რეალურ სასწავლებელთა წესდება. ამ პირველს სამს წელიწადს ვინც გაათავებს კურსს, იგივე უფლება ექმნება, რაც დღევანდელის წესდების ძალითა აქვთო. ხოლო შემდეგ ახალი წესდება იქმნება შემოღებულიო. ამ წესდების ძალით რეალურს სასწავლებელში იქმნება 5 კლასიო. რეალურს სასწავლებელთან შეიძლება დაარსდეს დასამატებელი სატეხნიკო კლასებიცაო. ამ კლასებში სწავლა უნდა იყოს ორს და ან ოთხს წელიწადსა. ვინც ამ დამატებულს კლასებშიაც ისწავლის და მიიღებს ტეხნიკის წოდებას, იმას ექმნება ნება უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელში შესვლისაო.

⁂ ამბობენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს აგრეთვე რეალურ სასწავლებელთა გადაკეთებისათანავე დააარსოს მრეწველობის სკოლებიცაო. ამ სკოლებს საშუალო სასწავლებელთა უფლებანი ექმნებათო. სხვა-და-სხვა ალაგს სხვა-და-სხვა გვარი სკოლა მრეწველობისა იქმნება დაარსებულიო, იმის მიხედვით, თუ სად რა მრეწველობაა გავრცელებული და ხალხს რის სწავლა უფრო ეჭირვებაო.

⁂ გაზ. „Свѣтъ“-ი ამბობს, რაკი ბათუმი რუსეთს დარჩა, იქ განიზრახეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის აშენებაო. უმაღლესის მთავრობის ნებადართვით გაიმართა ხელის მოწერა და 200,000 მან. მოგროვდაო. ახლა გადასწყვიტეს, რომ საძირკველი ჩაჰყარონ პირველის ეკკლესიის ასაშენებლად. გეგმა შენობისა შედგენილია რამდენისამე კაცისაგან და რომელიც მოწონებული იქმნება, იმ გეგმაზე უნდა აშენდეს პირველი ტაძარი ახლად დაპყრობილს ქვეყანაშიო.

დამკვირდი!

ავი ენა ავის გულის ნიშანია. (სირუსი)

⁑

ცრუ კაცის ენასა მუნჯის ენა სჯობს. (ოსმალური ანდაზა)

⁑

უბედურება ავს ხასიათს უფრო ავებს და კარგს კი უფრო აკეთებს. (ლედი მორგან)

⁑

სიხარული მწუხარებისა უნახავად არ იქმნების და ჭირ-უნახავად კარგი სახელი არ იშოვების. (ვისრამიანი)

⁑

თუმცა რისხვა მოგერიოს,
შეცდომასა წყრომა სავსე, —
დაითმინე გონებითა,
ბორგვის ცეცხლი სწრაფად ავსე.
(მეფე ვახტანგ VI)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ვლადიკავკავი. ვერაფერს მადლობას უძღვნიან ძველს წელიწადს მინდვერის ოსები, ყველგან გაისმის საყვედური ძველ-წელიწადზე: წაიღეს და ნულარ მოვა ამისთანა წელიწადიო...

— დადგა ახალ-წელიწადიც, — ყოველი სულდგმული, სჯულიანი და უსჯულო აღტაცებულის სიხარულით ეგებება ახალ-წელიწადს. ყველა იმას ეხვეწება ღმერთს: ღმერთო, როგორც ახალ-წელიწადს ცოცხალი შეგვასწარ, ისე შენის წყალობის ახალი სიკეთეც მოგვეციო! ყველა, ქალი თუ კაცი, ამასა ნატრობს: აბა გავახილოთ თვალი და დავინახოთ, რომელ ხალხში, რომელ ქვეყანაში, რა უფრო კარგი ზნე-ჩვეულება არის, რომ ჩვენც ის შევისწავლოთ და თუ რაიმე ძველის წლის ცუდი ზნე და ჩვეულება დაგვრჩა, დავივიწყოთ და აღარ შევიყოლოთ ახალ-წელში. მაგრამ, სამწუხაროდ, მინდვრის ოსებში კი მაინც და მაინც ძველის წლის მავნე ზნე-ჩვეულება უფრო-და-უფრო ვრცელდება, მინამ ახალი რამე სიკეთისა და კარგის ზნე ჩვეულების შეძენა. 1879 წელში შეადგინეს მინდვრის ოსებმა საერთო განაჩენი—„პრიგოვორი“ და დააწყეს წესები ისე, როგორც უკეთესი იქნებოდა ამათ ცხოვრებისათვის. აი როგორი იყო იმ განაჩენის შინაარსი. 1) ჯერ დაიფიცეს სუყველამ იმაზედ, რომ იმ დღიდგან, რა დღიდანაც ფიცი დასდეს, აღარავის ექურდნა, და თუ ვინმე ჩაიდენდა ქურდობას, ის უნდა განდევნილი ყოფილიყო საზოგადოებიდამ განუკითხავად. ამისთვის ჰყავნდათ ყველა სოფლის ყველა უბანში ორი და სამი დაფიცებული კაცი მეთვალყურედ დაყენებული, ესე რომ: რომელს უბანშიაც დაიკარგებოდა რამე, დაყენებულს უბნის მეთვალ-ყურე კაცებს ან უნდა ეპოვნათ ქურდი და ან უნდა თვითონ გადაეხადნათ დანაკარგი ერთი-ორად.

2) როდესაც გადაიცვლებოდა ვინმე, მიცვალებულის პატრონს უნდა დაეკლა ან ხუთი ცხვარი და ან ერთი ხარი და ერთი ცხვარი, მეტი ვერ შეეძლო. 3) ურვათი, რომელსაც სასიძო აძლევს ქალის პატრონს, არ უნდა მიეცათ ათის თუმნიდგან თხუთმეტ თუმანზედ მეტი. 4) არ უნდა გაეკეთებინა არავის დოლი, რომელსაც მიცვალებულის გულისათვის რამოდენიმე მანძილიდგან გააჭენებენ ხოლმე სამს ცხენს, და რომელიც წინ მიასწრობს, რამდენისამე თუმნის სადირალს მიიღებს. და აგრეთვე რაც სხვა მაზარალებელი ჩვეულება ჰქონდათ, ისინიც სულ აღკრძალული იყო საერთო განაჩენში. და თუ ვინმე გასტეხავდა იმ განაჩენის პირობას, იმას უნდა გადაეხადნა ჯარიმა 100 მან. იმ განაჩენის შინაარსი მთავრობასაც ჰქონდა მოხსენებული. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ გასტანა მინდვრის ოსებში ამ ზემო მოხსენებულმა პირობებმა. წელიწადი გავიდა თუ არა, დაიწყო ისევ ქურდობა, მიცვალებულისთვის ბლომად საკლავების ხოცვა, ქალში ბლომად ურვათის მაცემა, დოლების გაკეთება და სხვა... კიდევ კარგი, რომ თავის ნებით იყოს, ვისაც როგორ შეუძლიან, იმისდა კვალად აკეთებდენ ქელეხს, წირვებს და ქალში ურვათს აძლევდენ; საქმე ის არის, რომ საწყალსაც მდიდარის მიბაძვით უწყდება პირში ლუკმა. მდიდარმა როგორიც ქელეხი ან წირვა გადაუხადა მიცვალებულს, უეჭველად ღარიბმაც უნდა ისე გადუხადოს, არ გადუხდის და სირცხვილია ერთი ლაპარაკი რომ მოუვიდეს ვისთანმე, მაშინვე წასძახებენ: თუ შენ კარგი კაცი იყო, შენი მიცვალებული მშიერი არ იქმნებაო. აგრეთვე მდიდარმა რამდენი ურვათიც მისცა ქალში, ღარიბმაც უნდა მისცეს, —მეტი გზა არ არის. არ მისცემს და უცოლოდ დარჩება, მისცემს და არა აქვს იმდენი, საიდგან უნდა მისცეს, ან უნდა მოიპაროს, ან ვალი აიღოს ვისგანმე. დოლებიც ევრე, რაკი მდიდარი გააკეთებს, ღარიბმაც უეჭველად მისის მიბაძვით უნდა გააკეთოს. ამისთანა ჩვეულებათა გამო ბევრი უწესოება ხდება მინდვრის ოსებში, ბევრი ქურდობა და ხშირად კაცის-კვლაც. აი წელს, წინა კვირებში, ჰქონდათ დოლი სოფ. ხუმელაგაში რამდენსამე გლეხს. ერთი ჩამოვარდა ცხენიდგან, მოჰყვა ხანჯალი ქვეშ, ხანჯალს ქარქაში გაუტყდა და პირმა მუცელი სულ გაუსხიპა კაცს. მეორე ჩამოვარდა და მხარი მოიტეხა, მესამე ჩამოვარდა და მუხლის კვირისტავი ამოიგდებინა. მარტო დოლში მოსდით ამდენი უბედურება. ქელეხით, ბევრის ურვათით და ქურდობით ხომ სრულიად ჰღუპავენ თავიანთ თავსა მინდვრის ოსები.

ქართველი ოსებში

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპის სახელმწიფოთა დღევანდელი აწეწილი საქმეები, ჯარების გამრავლება, გაცხარებული მზადება, აუარებელის ფულის უნაყოფოდ ხარჯვა და სხვა მრავალი ამ გვარი არა-სანუგეშო ამბავი ბევრს აღონებს და მწარე ფიქრებს აძლევს. აი სხვათ შორის გაზეთ „Allgemeine Miiltar-Zeitung“-ში ერთი წერილია დაბეჭდილი, რომლის ავტორი ასეთს საზარელს სურათს გვიხატავს ამ მოსალოდნელ ომის გამო:

> რას იტყვიან, როგორ მოიხსენიებენ ჩვენი შვილები ამ მე-19 საუკუნესაო,? ამბობს ავტორი. ისინი იტყვიან, რომ მე-19 საუკუნე საოცარი და თან საშინელი საუკუნე იყოვო,—საოცარი იმიტომ, რომ მე-19 საუკუნემ ბევრი, უთვალავი სიკეთე შესძინა ქვეყანას, ძირეულად შესცვალა კაცობრიობის ცხოვრება, საშინელი იმიტომ, რომ ამავე მე-19 საუკუნეში დიდი და საზარელი ომები იყოვო. ამ საუკუნეს დასაწყისშივე თითქოს თვით ომის ღმერთი ჩამოვდა ცით ქვეყანაზე და ასტეხა საშინელი სისხლის ღვრა. მარტო ნაპოლეონმა თავის განუწყვეტელის ომებით რამდენი სისხლი დაღვარა და რამდენი ხალხი ამოჟლიტა. ნაპოლეონის შემდეგ ევროპას ჯერ კარგა ვერც კი შეესვენა, რომ ექვე დიდი ომი ერთმანერთს ზედი-ზედ მოჰყვა და მთელი ევროპა ხელ-ახლად შეირყა..

არა-სანუგეშო სურათს გვიხატავს წერილის ავტორი.

⁂

სომხურ გაზეთ „ნორ-დარში“ დაბეჭდილია ერთი საყურადღებო წერილი სტამბოლიდამ, რომე-

---

რამ ვინ გაამტყუნებს ხევსურს? როგორც ისტორია ამტკიცებს, შურისძიებას არც ერთი ხალხი არ ასცდენია, განათლებული ხალხიც-კი. ქართლში, მაგ., ჯერ ისევ წარსულს საუკ. ნება გქონდა თხოვნა მიგერთმია მეფისათვის—დასტური დამეცი ესა-და-ეს მოვკლაო; მეფეც ბრძანებას აძლევდა—წადი და შენი მოსისხლე მტერი ლუკმა-ლუკმად ასჩეხეო (იხ. ფურცლაძის Груз. Крест. Грамоты, გვ. 13). მაშ ვინ უკიჟინებს ხევსურს შურის-ძიებასა?!

ერთი შესანიშნავი მოვლენაც უნდა აღვნიშნოთ. ხევსურულმა სამართალმა ცოლისა და შვილების მოკვლისათვის სისხლი როდი იცის, ამ დანაშაულობისათვის მცირედი გარდასახადია დაწესებული; ქმარმა რომ ცოლი მოკლას და მამამ შვილი, „დედულებს“ ხუთს ძროხას მისცემს და საქმე ამითი გათავდება. ვინც ჩვენის ძველის ოჯახის წყობილობა იცის, იმისათვის ეს მოვლენა ადვილად გასაგებია. ხევსურს თავისი ოჯახი კერძო-საკუთრებად მიაჩნია, იგი სრული ბატონია ცოლ-შვილისა. როგორც ვიცით, თვით ქართლშიაც ძველად ასე გახლდათ...

როგორც გაკვრით შევნიშნეთ, შურის ძიება შერიგებითაც თავდება და ამ შერიგებას კიდევ ბჭენი კისრულობენ. შერიგებისათვის საჭიროა, რომ დამნაშავე მოკლულის ხატში მივიდეს და თან მიიტანოს ქვაბი, ვერცხლის თასი, საკლავი (ცხვარი, მოზვერი) მიიყვანოს. ხატში ცოდვის შესანდობლად მივლენ და ამ მისვლას „ჯვარში შეჯდომას“ ეძახიან. ქვაბი და თასი ხატს დარჩება მკვდრის მოსახსენიებლად; საკლავი კი უნდა შეჭამოს შერიგების დროს. ხევსურს ცარიელი საკლავი არაფრად ეპიტნავება, თუ ლუდი არა აქვს; ამიტომაც ლუდი უეჭველად უნდა გამოჰხადონ; ქერი მკვლელისაა, სვია კი იმ ოჯახისა, რომელსაც მოკლული ეკუთვნოდა. საყურადღებოა, რომ ლუდი მიუცილებლად მოკლულის ან დაზარალებულის სოფელში უნდა მოამზადონ. შერიგება ბჭეების საქმეა და სისხლი იმათ უნდა გადასწყვიტონ. როცა განაჩენს დაადგენენ, ორთავე მხრის ნათესაობა შეიყრება და იმათ დაალევინებენ ვერცხლის ნაფხეკს, რომელსაც ჩაჰყრიან არაყში, ლუდში ან რძეში. თუ ეს ვერცხლის ნაფხეკი არ დაილია, შერიგება ვერა გზით ვერ შეიძლება, ასე რომ თვით „ჯვარში შეჯდომა“ შერიგებას როდი მოასწავებს,—დამნაშავე ხატიდამ თავის სახლში უნდა წავიდეს, მოსისხლეებს უნდა გაშორდეს, რომ შუღლი არ მოხდეს; „ჯვარში შეჯდომიდგან“ დაწყობილი შერიგებამდე შეიძლება დიდმა ხანმა, წელიწადმაც გაიაროს. მხოლოდ ვერცხლის ნაფხეკი საბოლოოდ სპობს შურის ძიებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს ვერცხლი უწმენდს გულს მოსისხლეებსა,—შერიგების შემდეგაც დამნაშავეს რიდი და ხათრი მართებს, მასთან სრულიად გულის გაწმენდა არ შეიძლების... ეს კიდევ არაფერი, საქმე ისაა, რომ შერიგების შემდეგაც დამნაშავე ვალდებულია ყოველ წელიწადს, ხატობას, ან „გუთანი რომ გაემართების“, საკლავი დაჰკლას დაზარალებულის სახლში, იმის სალოცავში. თუ დამნაშავემ უარი სთქვა ამ ყოველ-წლიურს ზვარაკზედ, იმას ხელ-მეორედ გადაემტერებიან—დაჰკეჭნიან, შეიძლება მოჰკლან კიდეც. ხალხი თითონაცა ჰგრძნობს, რომ ზვარაკის მუდმივი შეწირვა საზარელი ჩვეულებაა, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო...

ჩვეულების სამართალს უფრო ვრცელი ყურადღება მიუქცევია „კეჭნაობისათვის“ (დაჭრილობა). ასეც უნდა იყოს, რადგანაც კეჭნაობა მუდმივი მოვლენაა და თითქმის არც ერთი ხევსური არ მოიპოვება, რომელსაც სხვა ვინმე არ დაეკეჭნოს, ან თითონ არ დაკეჭნილიყოს. ძნელად შეჰხვდებით ხევსურს, რომ თავ-პირი დასერილი არა ჰქონდეს დაშნით, სალცრულით. მუდამ თან განუშორებელი, ძველი რაინდული იარაღი და სამხედრო აღზრდა ხელს უწყობს კეჭნაობას, ბალღები პატარაობიდგანვე გულ-მოდგინედ სწავლობენ ფარის და დაშნის ხმარებას, იწვრთნებიან, ვარჯიშობენ კეჭნაობაში... თვით კეჭნაობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი ასპარეზი უფრო ფართოა და ვრცელი, მინამ მკვლელობისა,—კეჭნაობის სისხლი გვარზედ და თემზედ გადადის, მკვლელობისა კი ახლო ნათესავებზედ. ხევსურის აზრით, დიდი სირცხვილია, თუ დაკეჭნა უსისხლოდ დარჩა. კიდეც ამიტომ სამართალი კეჭნაობას ვრცლად განმარტებს, კეჭნაობის სისხლი აღნუსხულია, დაკეჭნილის გასასინჯავად ცალკე ექიმია დანიშნული თავისის „ხვეწით“ („ხვეწი“ ფოლადისა ან რკინის პირიანი საფხეკია, სწორედ ის, რასაც ვახტანგის სამართალი «სანახავ რკინას» უწოდებს, მუხ. მთ.). შესანიშნავი კეჭნაობაში ისაა, რომ მძიმედ, სასიკვდილოდ დაკეჭნა სირცხვილია,—საჭიროა მხოლოდ, რომ მეშუღლე ცოტად დასჭრა, მარტო სისხლი გამოადინო. ხევსურის აზრით, ვაჟ-კაცს არ შეჰშვენის და არც გულადის რიგია, რომ მეშუღლე მძიმედ დასჭრას; სულ-მდაბალი და მხდალიაო; თავი ვერ შეიმაგრა, მკლავი ვერ დაიმორჩილა, მეშუღლეც იმიტომ „გასწირაო“, მძიმედ დაკეჭნაო... ასე სჯის ხევსური და გარწმუნებთ, ამ მსჯელობაში ბევრი სიმართლეც არის. მაგრამ იქნება გვეგონოთ, რომ ხევსურს ვაჟ-კაცობა და სიმამაცე აკლდეს და იმიტომ დაკეჭნასაც თავისებურად უცქეროდეს, არა,—როცა საჭიროება მოითხოვს, ხევსურიც მკლავს მაგრად მოიქნევს; ბასრს „ფრანგულას“ არ უღალატებს; მართალია, ხევსური ისეთი ვაჟ-კაცი არ არის, როგორიც ფშაველი (ფშაველს ხომ გულადობაში და ვაჟ-კაცობაში ვერავინ შეედრება, ვერც სახელ-განთქმული თუში, როგორც სამხედრო კაცები ამტკიცებენ), მაგრამ არც ამას აკლია მამაცობა. ხევსური ეხლაც სიამაყით იგონებს იმ დროს, როცა იმის მამაპაპამ დაამარცხა არაგვის ერისთავი ზურაბი:

ზურაბო, 1) აგი გითხარი,
ხევსური კაცი უტია, 2)
ქალუნდაურის 3) ფრანგულმა 4)
ხმალ შუქი გამოუტია,
გამოაქციეს ზურაბი,
საფურცლეს 5) ველარ უწია,
საფურცლეს დასცეს ხანჯლები,
სულ ნელად ამოუტია.
ზაალი ჩამოვიდოდა,
ჩამოტიროდა ხმითაო,
არ ვინ მეგონა მამრევი
ჩემის ძმის ზურაბისაო...

---

1) ამ ზურაბს გაულაშქრია მთიულებზედ და მათი დამორჩილება სდომებია; მთაში ეხლაც ახსოვს ხალხსა „სულძაღლი“ ზურაბი..

2) ჟიუტი, შეუპოვარი.

3) სახელია ხევსურისა.

4) ერთ-გვარი ხმალია.

5) საფურცლე ადგილია სოფ. მეხრანის ახლო.

ლიც მეტი არ იქნება ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ.

წერილის ავტორი გვარწმუნებს, რომ ოსმალეთის სომხების ეკკლესიებში და მონასტრებში უპოვიათ შვიდი ფირმანი, რომელიც ისლამის დამფუძნებელ წინასწარ-მეტყველს მაჰმადს მიუცია სომხებისათვისაო. ავტორის სიტყვით, ერთს ფირმანში სხვათა შორის თურმე სწერია:

> „მე ისლამის დიდი მოციქული, განმეორებით და დიდის ფიცით გავალებთ ჩემის მოძღვრების აღმსარებელთ, რომ სომხებთან სიყვარულით და მშვიდად იყვნეთ; სომხებისაგან ოთხის ვერცხლის ტირემის მეტი ხარჯი არ აიღოთ; ძალით სარწმუნოება არ გამოაცვლევინოთ და ქორწინება არა ჰქნათ; საეკკლესიო წესების თავისუფლება არ დაურღვიოთ; სომხის ქალებისაგან (ხასა) ცოლი არ აიყვანოთ; ეკკლესიების შენობაში დაეხმარეთ და როგორც მეზობელი და ერთის ქვეყნის ძმანი, ერთმანერთთან მეზობლური ვალდებულება აასრულეთ; სომეხთ სასულიეროთ, მასწავლებელთ და მოსწავლეთ ხარჯი არ გამოართოთ; სომხის ერისაგან მხედარი არ აიყვანოთ; მთებში, უდაბნოებში და მონასტრებში შეფარებული სასულიერონი არ შეაწუხოთ; მშვიდობიანობა მტკიცედ დაიცევით. თუ საჭირო იქნება, საზოგადოების ფულიდგან ეკკლესიების შენობებს დაეხმარეთ; როგორადაც ისლამის „ჯამინი", აგრეთვე სომხის ეკკლესია სალოცავ სახლად მიგაჩნდეთ და სომხის სარწმუნოება ჭეშმარიტად იცანით; სომხის სასულიეროებს ამბორი და პატივი ეცით, როგორც ისლამის ულემსა. ზღვაზედა თუ ხმელეთზედა და ყოველგან, სადაც კი ქრისტიანი ვაჭარნი დაიარებიან, ვაჭრებს წინაამდეგობა არ გაუწიოთ და არა ავნოთ-რა; თუ სომხებმა მადნები იპოვონ, ხელიდგან არ წაართოთ და სახლებში ძალით არ შეუვარდეთ. თუ დამნაშავე სომეხი ისლამს შეეფაროს, არავინ არ გასცეთ, არამედ შეიბრალეთ და დაჰფარეთ, რადგანაც ისლამს მხოლოდ სიბრალული და გამოსარჩლება შეჰფერის; იმათი ქორწინება ისლამს ვერ შეუძლიან დაარღვიოს.
>
> „ვინც ეს აღთქმა დაარღვიოს, დიდიდგან ვიდრე პატარამდისინ, წყეული და შერისხული იქნეს და ღვთისა და ისლამის წინაშე დამნაშავე იყოს."

წერილის ავტორი ამბობს კიდევ, რომ როგორც ეს, ისე სხვა ბევრი ამ გვარი ფირმანები საიდუმლო არ იყო და თვით სულთანებმაც კარგად იცოდნენ ამათი შინაარსიო.

სრულიად გვჯერა ავტორის სიტყვა, თუმცა ეს კი ვერ გაგვიგია: თუ მაჰმადიანებმა და თვით სულთანებმაც იცოდნენ ეს ფირმანი, როგორ არ ასრულებდნენ „მაჰმადის აღთქმას", იმ მაჰმადისას, რომლის მოძღვრება ასე მტკიცედ სწამთ და რომლის ყოველ სიტყვას შეურყევლად ასრულებენ?

უცხოეთი

ბოლგარია. სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Times"-ს, რომ ბოლგარიაში მკვიდრნი იკრიბებიან ქუჩებში და უნდათ, რომ სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას, რომელიც ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშია და არ იცის რა გზას დაადგეს, როგორმე დაეხმარონ. მკვიდრნი ურჩევენ რეგენტებს, რომ სამსახურს თავს ნუ დაანებებთ, ჩვენი და ჩვენის ჯარის იმედი გქონდეთ და ჩვენ დაგიფარავთო.

— რეგენტებს მიუწვევიათ დიდის საეროო კრების განკარგულებით ბოლგარიის დეპუტატები და უთხოვნიათ, რომ ანგარიში წარმოადგინეთ რომში მოგზაურობისაო. ამ ანგარიშში სხვათა-შორის მოხსენებულია გარეშე საქმეთა მინისტრის რობილანტის სიტყვა, რომელშიაც დაჰპირებია ბოლგარებს, რომ იტალია თქვენს მხარეს დაიჭერს და თამამად წინაღუდგება იმ სახელმწიფოს, რომელიცკი ბოლგარიის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ხელს შეახებსო.

— გაზ. «Revue de l'Orient»-ი ამბობს: სოფიაში ცანკოვის დასის წევრთა შორის გავრცელებულია ხმა, რომ ჩქარა სოფიაში მოვლენ ერთი ოსმალეთისა და ერთი რუსეთის კომისარი და გამოაცხადებენო სულთანის სახელით: რეგენტები და მინისტრები ბოლგარიისა სამსახურს თავს ანებებენ, დიდი საერო კრება დათხოვნილია და ახალი არჩევნები ინიშნებაო. ყველა ამას ოსმალეთის კომისარი გამოაცხადებს და რუსეთის კომისარი-კი ისე იქნება და თვალყურს ადევნებს ოსმალეთის კომისრის ყოველს მოქმედებასაო. რომ უფრო დიდი ხმა ჰქონდეთ კომისრებს ბოლგარიაში, ადრიანოპოლსა და კიუსტენდილში ორი დიდი რაზმი იქნება დაბანაკებული ოსმალეთისა. ახლად მოწვეული დიდი საერო კრება ამოირჩევს თუ არა მთავარს ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის, კომისრები უკანვე წავლენ ბოლგარიიდგანაო.

— სარეგენტო მთავრობის გაზეთი „თავისუფალი ბოლგარია" აფრთხილებს რეგენტებს, სამსახურიდგან არ გადადგეთ. თუ თქვენ გადადგებით სამსახურიდგან, ბოლგარიაში წესიერება დაირღვევა, ამბოხება ატყდება და რუსეთიც ჯარებს ჩააყენებსო. თუ აქამდე ბოლგარიის მკვიდრნი მშვიდობიანად ცხოვრობენ იმიტომ, რომ თქვენი სრული ნდობა აქვთ და თქვენს შემდეგ, რაკი კარაველოვისა და ცანკოვის დასის წევრნი დაიჭერენ თქვენს ადგილს, ბოლგარიის ხალხი იმათ მოღალატეებად სთვლის და იმათს მთავრობას არ მიინდობსო.

ინგლისი. არსად არ ესიამოვნებათ გერმანიისა და საფრანგეთის შორის ომი ისე, როგორც ინგლისში. ლონდონის გაზეთები თითქმის სულ იმას ზრუნვაში არიან, რომ როგორმე წაახხუნონ გერმანია საფრანგეთს; ყოველ-დღე ჰბეჭდავენ ტყუილსა და მართალს ცნობებს, რომ საფრანგეთი ამდენსა და ამდენს ჯარს ამზადებს, ამდენი ზარბაზანი მოუმზადებია, ამდენი თოფიო. „Politishe Correspondenz"-ის ვენელი კორრესპონდენტი ურჩევს ინგლისს, რომ ძალიან კარგს იზამ თუ ეხლავე მოემზადები, რადგან საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი აუცილებელია, როგორც სჩანს, და ინგლისი კი იმას უნდა ეცდოს, რომ ბელგია არ ჩაერიოს საქმეშიო. ლონდონის სამხედროსა და ზღვათა სამინისტროებში დიდი მზადებაა ამ მოსალოდნელის ომისათვის და, როგორც სჩანს, ინგლისი მღვრიე წყალში თევზის დაჭერას აპირობსო, ამბობს „Neue Freie Presse". ვენის გაზეთის სიტყვით, ინგლისი დიდი ხანია აღმაცერად უყურებს იმ ამბავს, რომ გერმანია და საფრანგეთი ბევრს კოლონიებს იძენენო. თუ მართლა ომი ასტყდა გერმანიისა და საფრანგეთის შორის, ინგლისს დრო ექნება და ეგვიპტის საქმეს ისე გადასწყვეტს, როგორც თავის სასარგებლოდ დაინახავსო. ვინ-და გადაეღობება ინგლისს წინ ეგვიპტის საქმეში, რაკი საფრანგეთი და გერმანია დაუძლურებულები იქნებიან დიდისა და ხანგრძლივის ომითაო. ინგლისელები ჯერ ეხლაც სიამოვნებით იგონებენ 1870—71 წწ., როცა საფრანგეთსა და გერმანიას სისხლის-მღვრელი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანერთში. მაშინ ბირმინგამისა და ნიუკასტლის თოფხანები ერთი-ორად ასაღებდნენ დაწუნებულსა და გაფუჭებულს იარაღს საფრანგეთზე; მაშინ იყო, საფრანგეთმა რომ ფული იხესხა ლონდონში და ურიცხვს სარგებელს იხდიდაო; მაშინ ინგლისის ბაირაღი ყველა ზღვებზედა თავისუფლად ფრიალებდა და საფრანგეთისა და გერმანიის ცილების რიდი არა ჰქონდაო.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი

აი ის ცნობები შესახებ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისა, რომელიც ჩვენ დავპირდით ჩვენს მკითხველებს. ეს ცნობები ამოკრეფილია იმ ანგარიშიდგან, რომელიც ბ-ნმა დირექტორმა სასწავლებლისა ამ წლიურ აქტზედ წაიკითხა, 11 იანვარს.

ეს სასწავლებელი დაარსებულია 28-ს ენკენისთვეს 1880 წელსა, ასე რომ ეხლა იგი მეშვიდე წელიწადში დგას. ამ ხნის სასწავლებელში მხოლოდ ორ რიგს გაუთავებიათ სწავლა—პირველ რიგს შარშან—16 კაცს, მეორეს წელს—22 კაცს, სულ—38.

სწავლა ოთხის წლის ვადით არის. სასწავლებელში სამი განყოფილებაა: სომხებისა, რუსებისა და ქართველებისა; ყოველს განყოფილებას ოთხ-ოთხი კლასი აქვს, ასე რომ ერთს სასწავლებელში სამი სასწავლებელია მოთავსებული. თავ-თავის განყოფილებებში სწავლა ყველა საგნებისა სამშობლო ენაზედ სწარმოებს, გარდა რუსულის ენისა, რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიისა, რომელნიც რუსულს ენაზედ ისწავლებიან ყველასაგან. ასწავლიან ხელობას: დურგლობას, ხარატობას, ჩილინგრობას და ხარატობას რკინაზედ, მჭედლობასა, თუჯისა, სპილენძისა, და სხვა ამ გვარებისას ყალიბში ჩამოსხმას.

წარსულს $188^{5}/_{6}$ სამოსწავლო წელს, თეორიული ანუ საკლასო სწავლა და სახელოსნოში ხელობის იმ გვარად მიდიოდა, როგორც მოყვანილია ქვემო ნაჩვენებ სქემაში:

საგნები:	რომელ კლასში რამდენი საათი კვირაში.			
	I	II	III	IV
საღმრთო რჯული	2	1	„	„
სამშობლო ენა—ქართული ანუ სომხური	3	3	2	„
რუსული ენა	3	3	2	„
ბუნების მეცნიერება	2	3	2	1
არითმეტიკა	3	3	2	„
გეომეტრია	1	2	2	2
ტეხნოლოგია	„	„	2	3
ისტორია	„	1	1	„
გეოგრაფია	„	1	1	„
ბუხგალტერია	„	„	2	„
ხაზვა	2	2	2	2
ხატვა	2	1	1	2
წერა	1	1	1	„
სულ საკლასო სწავლა	19	21	20	10
სახელოსნო მუშაობა	18	30	36	42

სასწავლებელს აქვს ბიბლიოთეკა, თუმცა არა მდიდარი, ფიზიკური კაბინეთი და ოთხი სახელოსნო, სადაც მაშინებს ორთქლით ამუშავებენ. სულ სახელოსნოებში 26,675 მან. ღირებული მოწყობილობა და იარაღებია.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის სახარჯოდ 1886 წლისათვის დანიშნული

მამრეენი აღმოჩნდნენ... მაგრამ ჩვენ კიდევ ლამის საგანს ავსცდეთ...

მოკვლის შემდეგ დაჭრილობას და გახაიბრებას (დასახიჩრებას) პირველი ადგილი უჭირავს. არსებითი განსხვავება მათ შორის შემდეგია: დაჭრილობა ქერის და პურის მარცვლით უნდა გაიზომოს; გახაიბრება კი არ იზომება.—თვითეულს გახაიბრებულს ასოს წინადვე გაჩენილი აქვს ჯარიმა, სისხლის ფასი. ამ წესს ადგა ვახტანგის სამართალი (მუხ. მდ—მთ); მას აღიარებს ეხლანდელი ხევსურული სამართალიც, მხოლოდ ერთის განსხვავებით—ამ სამართალმა არ იცის დაზარალებულის «გვარი», ღირსება, რადგანაც ყველანი თანასწორნი არიან სამართლის წინაშე; გარდა ამისა, სისხლის რაოდენობა შეცვლილია. ჯერ დაჭრილობაზედ ვილაპარაკოთ.

საზოგადოდ რომ ითქვას, ჩვენი ძველი სამართალი დიდს ყურადღებას აქცევდა დაჭრილობას. საბუთიც ჰქონდა: არა თუ დაბალს წოდებაში, თვით დიდებულთა და ბრწყინვალეთა შორის ჩხუბი, თავ-პირის მტვრევა, იარაღით დაჭრა იშვიათი საქმე არ იყო. ასე გასინჯეთ «მინისტრებიც»-კი არა თაკილობდნენ ერთი-ერთმანერთის ცხვირ-პირის ჩამტვრევას; ამას მაგალითები ამტკიცებენ და შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ ისევ მეფე ერეკლეს დროს, 1793 წ., „მურდარმა" (სახელმწიფო ბეჭდის შემნახველი) გიორგიმ ჩხუბში ჯოხით თავ-პირი დაამტვრია „ნაზირს" ბარძიმს (იხ. ბ-ნ ფურცელაძის Двор. Грам. გვერდი 28—29). თუ ამას ჩადიოდნენ უპირველესნი მოხელენი, ხევსური რას არ იზამდა!?—ხევსურული სამართალი დაწვრილებით განმარტებს სხვა-და-სხვა გვარ დაჭრილობას, ყურადღებას აქცევს—სად, რა ადგილას დაიჭრა კაცი, მძიმედ თუ მსუბუქად; მაგ., ეგრედ წოდებული «საგულე» (დაჭრილობა სარტყლის ზემოდ, რბილში, აი თუნდა ფერდში) შეიძლება მძიმე დაჭრილობა იყოს, იმიტომ რომ „საგულე" საშიში ადგილია. მარცვლით „საგულე" არ გაიზომება, ექიმმა უნდა გასინჯოს და დაასკვნას—ძნელად არის კაცი დაჭრილი, თუ არა, იარაღის წვერი აქვს ნაძგერები, თუ პირით არის დაკრული. რასაც ექიმი იტყვის, იმას სამართალი სჯერდება. „საგულესათვის" დადებულია 5—16 ძროხამდე; ხუთ ძროხაზედ ნაკლები კი არ შეიძლება.

მძიმე დაჭრილობა იწყობა შუბლის სამის ნაოჭის ქვემოდ და მის საკუთრებას მთლად პირი-სახე შეადგენს, მხოლოდ ბეწვით დაფარული ადგილი კი უნდა გამოირიცხოს ამ განსაზღვრულის და გამიჯნულის საკუთრებიდგან,—პირისახის „შიშველია" მძიმე დაჭრილობის კუთვნილებაა. თუმცა ხევსური თავის სახეს ბევრს არას დაგიდევს და ხშირად წელიწადსაც გაიყვანს, რომ პირი არ დაიბანოს, მაგრამ როცა დაჭრილობაზედ მივარდება საქმე, ის პირი სახეს მეტად ეკკლუცება და თავ-მოწონებით დიდს სისხლს თხოულობს. პირი-სახის დაჭრილობა ქერისა და «წმინდის» (პური, იფქლი) მარცვლით უნდა გაიზომოს; მარცვალი ერთი დაიდება სიგძეზედ, მეორე სიგანეზედ; მესამედი ნაწილი გადაეარდება და ორ ნაწილში იმდენი ძროხა მიეცემა, რამდენიც მარცვალია (ვახტ. სამ. მარტო ქერის მარცვალს იხსენიებს, მუხ. მთ., ნაზირს ბარძიმსაც ქერის მარცვლებით გაუზომეს ჭრილობა) თითონ გაზომა ასე უნდა: დაჭრილს ადგილს ძაფს დაატოლებენ, მერე ამ ძაფით გაზომავენ ქვას ან ქაღალდს და ზედ მარცვლებს გაამწკრივებენ. ცხვირის დაჭრილობაც მძიმე საქმეა, ისიც მარცვლებით უნდა გაიზომოს; ბევრჯელ მესამედი ნაწილიც იანგარიშება. საყურადღებოა, რომ ტანში დაჭრისათვის ჯარიმა არაა დადებული; ტანზედ ხევსური დაკეპნე რამდენიც გნებავს, ოღონდ კი ნუ დაამავებ,—არა გადაგხდება-რა, „საფოთლეს" მეტი. „საფოთლე" ისაა, რომ ექიმი დაჭრილობას ფოთლით სწამლობს, ფოთოლს ადებს წყლულს. «საფოთლეში» ერთი ცხვარია დადებული. „სისხლი" გაჩენილი არ არის ეგრეთვე იმ შემთხვევისათვის, როცა შუბლის სამის ნაოჭის ზემოდ თავში დაიჭრება ვინმე; მხოლოდ ძვალი კი არ უნდა გასტყდეს. თავის მსუბუქად დაჭრილობა შერიგებით თავდება; ამისათვის საჭიროა, რომ დამნაშავე მეშუღლესთან მივიდეს და რაიმე საკლავი და სასმელი მიუტანოს. მაგრამ სულ სხვაა, როცა ძვალი გატყდება,—მაშინ სისხლია დაწესებული და აი რამოდენი: თუ ძვალი ტვინამდე გაიჭრა, დამნაშავეს ჯარიმად თექვსმეტი ძროხა გადაჰხდება, თუ დაჭრილობა ტვინს დაუახლოვდა—რვა ძროხა; როცა ძვალი ცოტად გატყდება, მაშინ საზღაურად ხუთს ძროხას აძლევენ, შეიძლება სამი ძროხაც. თავის დაჭრილობა „ხვეწით" უნდა გაიზომოს და, «ხვეწის» ხმარება ხომ ექიმის საქმეა. თვით ექიმი გამოცდილი კაცია და მარჯვედ ხმარობს თავის „ხვეწსა".

გახაიბრება, დასახიჩრება დიდს დანაშაულობას შეადგენს და ამიტომ სამართალსაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ამ დანაშაულობისათვის. გახაიბრებაც პირის-სახიდამ უნდა დავიწყოთ:

ცხვირის მოჭრა დიდი დანაშაულობაა და ოც-და ათ ძროხად ღირს. ცხვირს თვალები მოსდევს; მარცხენა თვალის გამოთხრა ცხვირის მოჭრას უდრის, მარჯვენა კი ხუთის ძროხით მეტია, რადგანაც „სათოფე თვალია" და თოფი ხომ ხევსურის «რკინის ძმაა». ყურის დაჭრაში ჯარიმად ხუთი ძროხაა, სულ ერთია მარჯვენა ყური იქნება, თუ მარცხენა, „ბედენა არაა". (დაყრუება, ენის მოჭრა არ იციან და ამაზედ არც-რას სამართალი ამბობს). ორთავე თვალების, ფეხების და ხელების სრულიად დასახიჩრება მოკვლას უდრის და სრული სისხლია დადებული, ასე რომ, მაგ., ორთავე ხელის მოჭრა და კაცის მოკვლა ერთი და იგივეა. ამ შემთხვევაში ხევსურული სამართალი უფრო ნაკლებოდ იმეორებს ვახტანგის სამართლის დაწესებულებას (მუხ. მდ). თუ კაცი დაჭრილობისაგან დაკოჭლდა, 30—35 ძროხა ერგება ხაიბრობისა-გვარად, ხელის დაშავებისათვის დადებულია 16—20 ძროხა. ამ შემთხვევაში მარჯვენა ასოს უფრო მეტი ეძლევა, ვიდრე მარცხენას ორ-სამის ძროხით. არც ხელის თითებია დავიწყებული და აი ამ თითების ფასად: ცერის მოჭრაში ჯარიმად 5 ძროხაა, სალოკი თითი 4 ძროხად ჰღირს, «შუალა», შუა—3, იმის მეზობელი, არა-თითი—2 და «ნეკურა», ნეკი ერთ ძროხად ფასულობს. სამართალს ფეხის თითები კი სრულიად დაუჩაგრავს, ამ თითებს ჯარიმა არ ეძლევათ რადა, როცა ფეხ-მაგარის ხევსურისათვის ფეხის თითებიც საჭიროა და ვახტანგის სამართალიც (მუხ. მე) პატივსა სცემს მათ?! საბრალო ფეხის თითების უფასოდ დატოვება მით უფრო დიდი შეცდომაა, რომ ფეხს და მუხლს საკმაო „სისხლი" აქვთ გაჩენილი: მუხლის დაჭრა და გახაიბრება 30—35 ძროხად ჰღირს, მუხლის თავის, ერთის ხელის დადების ზემოდ დაკეჭნა 5 ძროხაა.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ სამართალი თითქმის ერთ-ნაირად სჯის კაცისა და ქალის დაჭრას, გახაიბრებას; ქალისათვის, ზოგიერთა შემთხვევაში, ცოტა მეტი ჯარიმაა დადებული. ცოლის გახაიბრებაც სისხლს თხოულობს, თუ ცოლი ქმრის სახლში არა სცხოვრობს, თუ მამასთან, ძმასთან ან ახლო ნათესავთან არის შეხიზნული.

ნ. ურბნელი

სოფ. თიანეთი
10 იანვარს

იყო 31,500 მან., აქედგან 6,000 მან. დამხმარებელის (вспомог.) თანხის სარგებლისაგან, 2,000 მან. ამ სასწავლებლის მოსწავლეთა ნამოქმედარისაგან შემოსულია და 23,500 მან. ქალაქისაგან მოცემული ხარჯია.

ამ სასწავლებელში მოსამსახურენი სულ 20 კაცია. ამათგან მმართველი სასწავლებლისა დირექტორი, სალმრთო რჯულის მასწავლებელნი—2, სხვა საგნების მასწავლებელნი—9, ოსტატები—4, მათი თანაშემწე—2 და წესიერების ზედამხედველნი—2, სულ 20 კაცი. ამათგან ქართველნი—3, რუსი—5, სომეხნი—8; დანარჩენი 4 კაცი ევროპიელნი არიან.

რამდენი მოსწავლე იყო ამ სასწავლებელში საანგარიშო წელიწადს, რამდენი რომელის წოდებისა, სარწმუნოებისა და ტომისა ყველა ამას გვიჩვენებს შემდეგი სქემა:

	აზნაურნი	სას. წოდებ.	მოქალაქენი	გლეხნი	სამხედ. წოდ.	უცხოელნი	სულ
წლის თავში	33	7	110	67	21	3	241
წლის ბოლოს	44	9	82	65	20	2	222
% % . .	20	4	36,9	29,2	9	0,9	

	მართ.-მადიდ.	სომ.-გრიგ.	კათოლიკენი	ლუთერანნი	მაჰმად.	ებრაელნი	სულ
წლის თავში	132	98	7	1	1	2	241
წლის ბოლოს	112	100	6	2	›	2	222
% % . .	50,4	45,1	2,7	0,9	›	0,9	

	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	ბერძენი (?)	ებრაელი	ევროპიელი	დანარჩენი	სულ
წლის თავში	58	72	98	1	2	2	1	7	241
წლის ბოლოს	48	64	100	›	»	2	›	8	222
% %	21,6	18,8	45,1	›	›	0,9	›	3,6	

საანგარიშო წელიწადში სულ 115 თხოვნა შემოვიდა ამ სასწავლებელში სწავლის მსურველთაგან, ამათში მხოლოდ 80 შეწყნარებულ იყო, დანარჩენს 35 (30,4%) უარი ეთქვა, რადგან მომზადებულნი არ იყვნენ. მიღებულთაგან უმეტესი (50,4%) სომხნი იყვნენ, რის გამოც წარსულის წლის მიხედვით 11 კაცი მეტი იყო მიღებული, ვიდრე დაწესებული რიცხვი. კლასებით ასე არიან დანაწილებულნი: პირველში—111 კაცი, ამათგან რუსი 33, ქართველნი 28, სომეხნი 50, მეორეში—55 კაცი, ამათგან რუსი 10, ქართველი 20, სომეხნი 25, მესამეში—40 კაცი, ამათგან რუსი 9, ქართველი 13, სომეხი 18, მეოთხეში—16 კაცი, ამათგან რუსი 6, ქართველი 3, სომეხი 7, სულ 222 კაცი.

სახელოსნოში ესე დანაწილდებიან მოსწავლენი: „საჩილინგდროში" 109, ამათში რუსი 32, ქართველი 29, სომეხი 48; „სადურგლოში"—67, ამათში რუსი 13, ქართველი 18, სომეხი 36, «სამჭედლოში»—21, ამათში რუსები არ არიან, ქართველები 10, სომეხნი 11; „თუჯ-სპილენძის ჩამოსასხმელში"—25, ამათგან რუსი 12, ქართველი 6, სომეხი 7. ამ სქემიდგანა სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი (59%) ჩილინგდრობასა რჩეულობს და უმცირესი (11,2%) „ჩამოსხმასა".

საანგარიშო წლის განმავლობაში სასწავლებლიდგან გავიდნენ: პირველის კლასიდგან—28 ყმაწვილი, მეორედგან—12, მესამედგან—3 და მეოთხედგან—26, სულ 69 ყმაწვილი, ანუ 28,5%. ამათგან 22 სწავლა დაასრულეს და ამიტომ გავიდნენ, 19 ვერა სწავლობდა, 25 თავი დაანება სასწავლებელში სწავლას თავის ნებით, 1 გამორიცხულ იქმნა ცუდის ყოფა-ქცევისათვის და 2 გარდაიცვალა.

რამდენადაც სასწავლებელმა ცნობა შეჰკრიბა, გასულთაგან 5-ნი სხვა სასწავლებელში შევიდნენ, ხელობაში—40, კერძო საქმეებში, ვაჭრობაში და სხვ.—6 კაცი; 8 ყმაწვილი სასწავლებელმა არ იცის, რა საქმეშია.

ყველა მოსწავლენი თავ-თავიანთ ბინაზედ დგანან, მხოლოდ დილით სასწავლებელში მოდიან და აქ რჩებიან სადამომდე. ერთი ნაწილი დღისა საკლასო სწავლას უჭირავს, მეორე—სახელოსნო სწავლას. აქვე ეძლევა ყველას უფასო სადილი ორი თავი საჭმლისა.

ყველაზედ უფრო დიდი ღვაწლი სახელოსნო განათლების საქმეში ტფილისში ეჭვი არ არის ტფილისის ქალაქის თავს ბ-ნს ა. ს—ძეს მატინოვს მიუძღვისო, ამბობს ბ-ნი დირექტორი სასწავლებლისა თავის წლიურს ანგარიშში. ყოველის საჭიროებისათვის, რომელიც კი გამოუცხადებიათ სასწავლებლის გამგებელთა, ბ-ნს მატინოვს თავის მხრით დიდი შემწეობა და დახმარება აღმოუჩენია.

* * *

განსართობი

14-ის წლის გმირი. აი ერთს 14-ის წლის ყმაწვილს რა გმირობა ჩაუდენია: პრუსიის ქალაქს გენტინში ცეცხლი გაჩენილა. ცეცხლი დღე გაჩენილა და, რასაკვირველია, ყველას გამოუტანია სახლებიდამ, რის გამოტანაც კი მოუსწრიათ. ერთს მოსარეცხე დედა-კაცს სხვისი სარეცხი კი გამოუტანია და თავისი ერთის წლის მძინარე ყმაწვილი კი დავიწყებია, და მხოლოდ მაშინ-ღა მოჰგონებია, როცა ყმაწვილს ცეცხლის სიცხოველისაგან გამოჰღვიძებია და შეშინებულს ტირილი დაუწყვია. საბრალო დედას გული წასვლია, რაკი შვილი მოჰგონებია და ყველას ეხვეწებოდა თურმე, რომ მიშველეთ რამეო და გადამირჩინეთ როგორმე ჩემი საყვარელი შვილიო. ცეცხლი იმ სახლის ბანს უკვე მოჰკიდებოდა, რომელს სახლშიაც ყმაწვილი იყო თურმე. ამ დროს უეცრივ ხალხისაგან წინ წამომდგარა ერთი 14-ის წლის ყმაწვილი, მიუდგამს კედელზე კიბე, ასულა ცეცხლის ალით შემორტყმულს სახლში და ორი-სამის წუთის შემდეგ ყმაწვილით ხელში გამოჩენილა კიბის თავზედ. ამ ახალგაზდა გმირს დიდის პატივის-ცემით იხსენიებს ამ ჟამად მთელი ქალაქი გენტინიო.

**

იჭვიანი ქმარი. პეტერბურგის ოლქის სასამართლოში ერთი მეტად სასაცილო საქმე ირჩევა თურმე ამ ჟამად. ერთს კაცსა ჰბრალდება ცოლის დამახინჯება. ცოლი ახალ-გაზდა, ლამაზი დედა-კაცია და ცხვირი მოჭრილი აქვს თურმე. გამოძიების დროს აღმოჩენილა, რომ ქმარი უმიზეზოდ იჭვიანობდა თურმე ცოლზედ და ცოლსა სწამებდა, რომ შენ ამა-და-ამ ყმაწვილ-კაცს ჰყვარობო. ერთხელ კაცს თავის ცოლი და ეს ყმაწვილი კაცი ერთად უნახავს და ორივესათვის ცხვირი მოუკვნეტია. ყმაწვილს კაცს ეს საქმე გამოუქვეყნებია, არ უჩივლია და ცოლს-კი ქმრის დასჯა მოუწადინებია. დამნაშავე ქმარი ვაჭარია თურმე 35 წლისა და მოსული და ღონიერი ვაჟი-კაციაო.

* * *

დეპეშა

20 იანვარი

პეტერბურგი. «С. Петер. Вѣд.» ი გვაუწყებს, რომ ამ ახლო ხანში მთავრობას უნდა გადაათვალიეროს საბაჟო ტარიფი სრულიადაო.

მოვიდა ამბავი, რომ გუშინ გარდაიცვალა იალტას პოეტი ნადსონიო.

ხარკოვი. გამოძიება ორლოვის საქალაქო ბანკში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა გამო დასრულდა. ამ საქმეს გაარჩევს ხარკოვის სამოსამართლო პალატა 3 მარტს.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა უარ-ჰყო საზოგადოებათა პალატაში ის ხმა, რომ ვითომ ლონდონის კაბინეტმა გაუგზავნა ვენის კაბინეტს დეპეშა და შემწეობას დაჰპირდა ავსტრიას რუსეთთან ომის დროსაო.

ვენა. მინისტრთა მოლაპარაკებისა და თათბირობის დროს გადასწყდა, რომ ზოგიერთი საშუალება იხმარონ და უფრო უკეთ მოამზადონ ავსტრო-ვენგრიის ჯარი საომრადაო.

გარეშე საქმეთა სამინისტროს გაზეთი „Tremdenblatt"-ი ამბობს, რადგანაც საერთო მდგომარეობა ევროპისა ამ ბოლოს დროს მეტად დასაფიქრებელი შეიქმნაო, ამიტომ საჭიროა მიღებულ იქმნას სხვა-და-სხვა საშუალება ავსტრო-ვენგრიის ჯარების მოსამზადებლად ომისათვისაო. ამისათვის დიდი ფული იქმნება საჭიროვო და, ვგონებ, დელეგაციების მოწოდება დასჭირდება მთავრობასაო.

პეშტი. პირველმა მინისტრმა სთქვა დეპუტატთა პალატაში, რომ ავსტრო-ვენგრიის შეიარაღება ომისათვის მზადებად-კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ იმ საშუალებად, რომელიც საფრთხილისათვის არის საჭირო, თუ ვინიცობაა, მთავრობათა სურვილის წინააღმდეგ, დღევანდელი ყოფა ევროპისა ომს გამოიწვევსო.

სტამბოლი. აქ მოვიდნენ გრეკოვი და სტოილოვი.

21 იანვარი

პეტერბურგი. «Journal de St.-Petersbourg»-ი ამბობს, რომ გაზეთების ლაპარაკმა თუ იმოქმედა ჯერ-ჯერობით და შეაშინა ბირჟაო. მართალია, ეხლა გაცხარებული შეიარაღებაა ყველგან და დიდის საფრთხილითაც სწარმოებს ეს საქმე; ამ საფრთხილესა და ყურ-მახვილობას შეუძლიან გამოიწვიოს ეჭვიანობა, ხოლო ეჭვიანობამ კიდეც სახელმწიფონი ერთმანერთს შეაჯახოს, მაგრამ მთავრობათა სიბრძნეც სწორედ ეგ არის, რომ კარგად ეყურება ასეთი მდგომარეობა და არა ერთხელ უთქვამთ: არავის არა სურს ომიო.

ჟურჟევო. ამ ბოლოს დროს ხმა ისმის, რომ ბოლგარნი სცდილობენ ააჯანყონ მაკედონია და იქვე წავიდა სოფიიდამ რიყევი შეიარაღებულის დასის შესადგენადაო. ზაქარია სტოიანოვი ბელგრადს იმყოფება.

სარწმუნო წყაროთაგან გვატყობინებენ აქა, რომ სერბიის მთავრობა მონაწილეობას იღებს მაკედონიის აჯანყების საქმეში და ჰგზავნის იქ საომარს იარაღსაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

22 დღე ხუთშაბათი. წმ. ტიმოთე მოციქულ., მოწ. ანასტასია. სომეხ. წმ. კვირიაკე, დედისა მის იულიტასი; ვაჰან გოლთნელ.; წმ. მოწ. გორდია და სხვა. კათოლ. ვიკენტი და ანასტასიისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 5—17. მთვარე ჩადის 2—3 დილ. მთვარე 10 დღისაა.

23 დღე პარასკევი. წმ. მოწ. კლიმენტი ეპისკოპ. ანკვირელ. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14, ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 5—19, მთვარე ჩადის 3—3 დილ. მთვარე 11 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1 ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამხრის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

პეტერბურგის ბირჟა, 20-ს იანვარს 1887 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გარიგებისა
ხუთ მანეთიანი ოქრო	—	—	9 მან.
ტამოჟნის კუპონები	—	—	174¾ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მოგების ბილეთი	—	—	237¾ მან.
— მეორისა	—	—	228 მან.
გირავნობის ფურცლები:			
ტფილისის ბანკისა . . .	—	—	—
ქუთაისის ბანკისა . . .	—	—	—

განცხადებანი

სამზღვარ-გარედ წასვლის გამო იძლევა იჯარით ანუ ისყიდება გორის მაზრაში, სოფელ ქარელს, რკინის გზის მახლობლად, სახნავი, სათიბი, საძოვარი, ერთის 36-ის მონაწილეობა საერთო მთიდამ, ქვითკირის სახლი, ხილის ბაღი და მასთან ყოველი საოჯახო შენობები ისონ დავითის-ძის ციციშვილისაგან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მამულის მეპატრონეს პირ-და-პირ ანუ წერილით შესატყობრად გადაწყვეტილის ფასისა. (3–2)

ბებია

(აკუშერკა)

ანნა ივანოვნა

გალუზენკო

გადმოვიდა გორიდგან ქალაქსა; დგას მიხეილოვის ქუჩაზე, კაჩუბეის შესახვევში, სახლის № 12. (3—3)

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი"

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამით და შინაარსით, როგორც აქამდე, ხოლო ფორმატი გაზეთისა შეიცვლება: წინ-და-წინდელზე ერთი ორად დიდი იქნება, ასე რომ წლის ბოლოს გაზეთი «თეატრიდგან» შესდგება ორი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

რადგანაც აქა-იქა მატულობს რიცხვი სცენის მოყვარეთა, ამისათვის რედაქცია თავის მოვალეობად ჰრაცხს ბეჭდოს სხვათა შორის სცენაზედ ადვილად წარმოსადგენი პიესებიც

ფასი თეატრისა იგივეა: ერთი წლით 5 მან ნახევარ წლით 3 მან.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ. Контора редакціи газ. „Театръ". Галлерея быв. Арцруни, № 149.

ყველა პირობები ვრცლად არის მოხსენებული „თეატრის" პირველ ნომერში.

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს მიიღებენ საჩუქრად ოქროს ვარაყიან ყდაში შეკრულს დიდ წიგნს, რომელშიაც იქნება არა ნაკლებ სამი კლასიკური პიესისა და რომელიც ეღირება არა ხელის მომწერთათვის ორი მანეთი. (5—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

ინსტინკტი (ალღო) დარვინის თეორიის შეხედულობით, თარგმანი რომანოზ ფანცხავას-მიერ, ფასი 15 კაპ.

ღოთი კაცის სიკვდილი, მოთხ. ჩარლზ დიკენსისა, თარ. ივ. ხოტეველისა. ფასი 5 კაპ.

გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—8)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—33)

Дозв. ценз. Тиф. 21 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე